ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

16-40

დადგენილება № _____

5 დეკემბერი
"____" _____ 2014 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში კულტურული, მასობრივი, სპორტული და სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარებისას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" სამედიცინო მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი მისდამი მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში დამატებით ახორციელებს კულტურულ, მასობრივ, სპორტულ და სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე სამედიცინო მოსახურებას. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 16-ე მუხლის მე-4 პუნქტისა, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის კულტურულ, მასობრივ, სპორტულ და სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარებისას გაწეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების ტარიფები, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში კულტურული, მასობრივი, სპორტული და სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარებისას ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" მიერ სამედიცინო მომსახურების ტარიფების

დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2014 წლის 11 თებერვლის №05.04.175 დადგენილება.

მუხლი3

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**

დანართი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის კულტურულ, მასობრივ, სპორტულ და სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარებისას გაწეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების ტარიფები

	მომსახურეობის სახეობა	ტარიფი
1.	სამედიცინო ბრიგადის ღონისძიებაზე დასწრების და სამედიცინო მომსახურეობის ღირებულება	100 ლარი
2.	სამედიცინო ბრიგადის ერთი საათით დაყოვნება	40 ლარი

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში კულტურული, მასობრივი, სპორტული და სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარებისას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" მიერ სამედიცინო მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 5 თებერვალს მიღებული საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, მუნიციპალიტეტში ნორმატიულ აქტის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოებს. კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს გამოსცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო - დადგენილების ფორმით.

პროექტი მიზნად ისახავს არსებული კანონქვემდებარე აქტების საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისობაში მოყვანას. პროექტით, საკრებულოს ნორმატიული აქტით მტკიცდება, ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში კულტურული, მასობრივი, სპორტული და სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარებისას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" მიერ სამედიცინო მომსახურების ახალი ტარიფები. ხოლო „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში კულტურული, მასობრივი, სპორტული და სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარებისას ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" მიერ სამედიცინო მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2014 წლის 11 თებერვლის №05.04.175 დადგენილება ძალადაკარგულად ცხადდება.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას თბილისის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.